დანართი №1

„საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ფილტრიანი და უფილტრო სიაგარეტებისგან გამოფრქვეული ნივთიერებების (ნიკოტინი, კუპრი, მხუთავი აირი) ზღვრულად დასაშვები ნორმები, მათი გაზომვისა და რეგულირების წესები და თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ადგილებში, ასევე კოლოფზე/ბლოკსა და შეფუთვაზე (შემდგომში - შეფუთვაზე) მისათითებელი სამედიცინო გაფრთხილებები და მათი დატანის წესი“

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ამ წესის მოქმედება ვრცელდება იმ პირებზე, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია თამბაქოს ნაწარმის წარმოებასთან, რეალიზაციასა და/ან იმპორტთან.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) თამბაქოს ნაწარმი – თამბაქოს ან მისი ელემენტების შემცველი ნაწარმი (გარდა ნიკოტინის შემცველი სამკურნალწამლო საშუალებისა), რომელიც განკუთვნილია მოსაწევად, დასაღეჭად, საწუწნად ან შესასუნთქად, მათ შორის:

ა.ა) ფილტრიანი სიგარეტი, უფილტრო სიგარეტი;

ა.ბ) პაპიროსი, სიგარა, სიგარილა;

ა.გ) საჩიბუხე თამბაქო, ჩილიმისთვის განკუთვნილი თამბაქო;

ა.დ) შესახვევი თუთუნი;

ა.ე) დასაღეჭი თამბაქო, საწუწნი თამბაქო, შესასუნთქი თამბაქო;

ა.ვ) ელექტრონული სიგარეტის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის ნიკოტინის შემცველი მასალა/კარტრიჯი/კაფსულა.

ბ) არმოსაწევი თამბაქო – თამბაქოს ნაწარმი, რომელიც არ არის განკუთვნილი მოსაწევად, კერძოდ, დასაღეჭი, საწუწნი ან შესასუნთქი თამბაქო;

გ) თამბაქოს მოწევა – თამბაქოს ნაწარმის წვის ან გახურების შედეგად გამოყოფილი პირველადი კვამლის ან ორთქლის შესუნთქვა;

დ) სამედიცინო გაფრთხილება - სამედიცინო გაფრთხილება – თამბაქოს მოწევის მავნებლობის შესახებ გამაფრთხილებელი წარწერა, რომელიც უნდა მოიცავდეს შესაბამის პიქტოგრამას;

ე) თამბაქოს ნაწარმისგან გამოფრქვეული ნივთიერება – ნივთიერება, რომელიც გამოიყოფა თამბაქოს ნაწარმის დანიშნულებისამებრ მოხმარების შედეგად, კერძოდ, სიგარეტის ან სხვა სახის მოსაწევი თამბაქოს კვამლში შემავალი ნივთიერება, რომელიც გამოიყოფა მოსაწევი თამბაქოს მოხმარების შედეგად, აგრეთვე დასაღეჭი თამბაქოს, საწუწნი თამბაქოს, შესასუნთქი თამბაქოს მოხმარების შედეგად გამოყოფილი ნივთიერება;

ვ) ნიკოტინი - ნიკოტინის ალკალოიდები;

ზ) კუპრი - თამბაქოს კვამლის ნედლი, გაუწყლოებული და ნიკოტინგამოცლილი კონდენსანტი;

თ) მხუთავი აირი – ნახშირბადის მონოქსიდი (CO);

ი) როტაცია – სამედიცინო გაფრთხილების მონაცვლეობა.

კ) ინგრედიენტი – ყველა ნივთიერება, რომელიც ემატება თამბაქოს, მათ შორის, ნივთიერებები, რომლებიც ემატება თამბაქოს ფოთოლსა და თამბაქოს სხვა ნატურალურ თუ

გადამუშავებულ ნაწარმს, აგრეთვე არათამბაქოს მასალა, რომელიც ემატება თამბაქოს ნაწარმის წარმოებისას და წარმოდგენილია ამ ნაწარმის საბოლოო ფორმაშიც, შეცვლილი სახითაც კი;

ლ) ერთეული შეფუთვა - ნებისმიერი კონტეინერი ან კოლოფი, რომელშიც უშუალოდაა განთავსებული თამბაქოს ნაწარმი;

მ) შეფუთვა, ნიშნავს - :

მ.ა) ნებისმიერ კოლოფს, ბლოკს, ყუთს, პაკეტს, პარკს, ქილას, ჩანთას, ტომარას, ტუბს ან სხვა კონტეინერს, რომელშიც მოთავსებულია თამბაქოს ნაწარმი;

მ.ბ) ნებისმიერი შესახვევი ან გარსი, რომელიც გამოიყენება თამბაქოს ნაწარმის გარე შეხვევისთვის;

მ.გ) ნებისმიერი მასალა მიკრულია ან თან აქვს თამბაქოს ნაწარმს ან „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ საგნებს.

ნ) პარკი - შესახვევი თამბაქოს ერთეული შეფუთვა, რომელიც დამზადებულია მოქნილი მასალისაგან, არის მართკუთხა ფორმის და გახსნისთვის აქვს ხვრელი, რომელიც იღება და იკეტება მაწებარა დასაფარებელი ფარფლით;

ო) გარსი - თამბაქოს კოლოფის ან სხვა პაკეტის გარე გამჭვირვალე შეფუთვა;

პ) გარე ზედაპირი - ნებისმიერი ზედაპირი, რომელიც ხილულია თამბაქოს შეფუთვის გახსნამდე. პარკის ფორმის შეფუთვის შემთხვევაში, ის აგრეთვე მოიცავს პარკის ზედაპირს, რომელიც იფარება ფარფლით;

ჟ) შიდა ზედაპირი - ზედაპირი, გარდა გარე ზედაპირისა;

რ) სიგარეტი – თამბაქოს ან მისი ელემენტების შემცველი ნებისმიერი სახის გრაგნილი ან მილისებრი აგებულების კონსტრუქცია, რომელიც გახვეულია ქაღალდში ან კანონით დაშვებულ სხვა მასალაში, რომელიც არ შეიცავს თამბაქოს.

მუხლი 3. საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ფილტრიანი და უფილტრო სიაგარეტებისგან გამოფრქვეული ნივთიერებების (ნიკოტინი, კუპრი, მხუთავი აირი) ზღვრულად დასაშვები ნორმები, მათი გაზომვისა და რეგულირების წესი

1. საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ფილტრიანი და უფილტრო სიაგარეტებისგან გამოფრქვეული ნივთიერებების, კერძოდ ნიკოტინის, კუპრისა და მხუთავი აირის კონცენტრაცია უნდა იყოს არა უმეტეს:

ა) კუპრისათვის – 10 მგ-ს ერთ ღერზე;

ბ) ნიკოტინისათვის – 1 მგ-ს ერთ ღერზე;

გ) მხუთავი აირის - 10 მგ-ს ერთ ღერზე (მხოლოდ ფილტრიანი სიგარეტისთვის).

2. ფილტრიანი და უფილტრო სიაგარეტებისგან გამოფრქვეული ნივთიერებების, კერძოდ ნიკოტინის, კუპრისა და მხუთავი აირის კონცენტრაცია უნდა განისაზღვროს:

ა) ნიკოტინი სსო (ISO) -10315-ით;

ბ) კუპრი სსო (ISO) - 4387-ით;

გ) მხუთავი აირის სსო (ISO) - 8454-ით;

დ) შეფუთვაზე განთავსებისთვის კუპრის, ნიკოტინის და მხუთავი აირის კონცენტრაციების სიზუსტე ვერიფიცირებულ უნდა იქნეს სსო (ISO)-8243 სტანდარტით.

3. მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა უნდა დაადასტუროს ფილტრიანი და უფილტრო სიაგარეტებისგან გამოფრქვეული ნივთიერებების (ნიკოტინი, კუპრი, მხუთავი აირი) გაზომვის სტანდარტების შესაბამისად ჩატარება და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ყოველი წლის 31 მაისამდე უნდა წარუდგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები. ამ დოკუმენტების ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით. თამბაქოს მწარმოებელი ან/და იმპორტიორი უზრუნველყოფს თამბაქოს აღნიშნული ნაწარმის შესაბამისობას დოკუმენტებში მითითებულ მონაცემებთან. ამასთანავე, თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა სამინისტროს ამ პუნქტში აღნიშნულ ვადაში უნდა წარუდგინოს ინფორმაცია თამბაქოს ნაწარმის ინგრედიენტების (კერძოდ, ინგრედიენტების ჩამონათვალის, რაოდენობისა და წონის) თაობაზე.

4. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 12^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, 2019 წლის 1 იანვრამდე შესაძლებელია ფილტრიანი და უფილტრო სიაგარეტების შეფუთვაზე ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით დატანილ იქნეს წარწერა ფილტრიანი და უფილტრო სიაგარეტებისგან გამოფრქვეული ნივთიერებების შესახებ, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი სსო (ISO) სტანდარტებით განსაზღვრის შედეგებს.

მუხლი 4. საქართველოში რეალიზაციისათვის განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის (გარდა არმოსაწევი თამბაქოს და ელექტრონული სიგარეტებისა) შეფუთვაზე განსათავსებელი ძირითადი და დამატებითი სამედიცინო გაფრთხილებები

1. საქართველოში (გარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა) რეალიზაციისათვის განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე განთავსებულ უნდა იქნეს შემდეგი სახის ძირითადი სამედიცინო გაფრთხილებები:

ა) მოწევა კლავს;

ბ) მწეველები კვდებიან ადრე;

გ) მოწევა სერიოზულ ზიანს გაყენებთ თქვენ და თქვენს ირგვლივ მყოფთ.

2. საქართველოში (გარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა) რეალიზაციისათვის განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის კოლოფებსა და ბლოკებზე განთავსებულ უნდა იქნეს შემდეგი სახის დამატებითი სამედიცინო გაფრთხილებები:

ა) თამბაქოს მოხმარება იწვევს ხორხის კიბოს;

ბ) მოწევით თქვენ იორმაგებთ ინსულტის განვითარების რისკს;

გ) მოწევა ზიანს აყენებს მუცლად მყოფ ბავშვს;

დ) თამბაქოს მოხმარება იწვევს შარდის ბუშტის კიბოს;

ე) თამბაქოს მოხმარებამ შესაძლოა იმპოტენტად გაქციოთ;

ვ) თამბაქოს მოწევა აზიანებს თქვენს ღრძილებსა და კბილებს;

ზ) ნუ აიძულებთ ბავშვებს ისუნთქონ თამბაქოს კვამლი;

თ) მოწევა იწვევს სიბრმავეს;

ი) მოწევა იწვევს პერიფერიული სისხლძარღვების დაავადებებს.

3. საქართველოში (გარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა) რეალიზაციისათვის განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის (გარდა არმოსაწევი თამბაქოს და ელექტრონული სიგარეტებისა) შეფუთვაზე დამატებით სამედიცინო გაფრთხილებებთან ერთად განთავსებულ უნდა იქნეს შემდეგი საკონტაქტო ტელეფონის ნომერი შესაბამისი წარწერით: „მოწევის შეწყვეტისთვის დარეკეთ: 116001, ზარი უფასოა“.

4. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეალიზაციისათვის განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის (გარდა არმოსაწევი თამბაქოს და ელექტრონული სიგარეტებისა) შეფუთვაზე ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ქართულ ენაზე შესრულებულ ძირითად და დამატებით სამედიცინო გაფრთხილებებთან, საკონტაქტო ტელეფონის ნომერსა და თანდართულ ტექსტთან ერთად, განთავსებულ უნდა იქნეს აფხაზურ ენაზე შესრულებული, ამ ბრძანებით დადგენილი, შესაბამისი ძირითადი და დამატებითი სამედიცინო გაფრთხილებები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრის თანდართული ტექსტი (დანართი №3).

5. საქართველოში რეალიზაციისათვის განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის (გარდა არმოსაწევი თამბაქოს და ელექტრონული სიგარეტებისა) შეფუთვაზე დამატებით გაფრთხილებებთან ერთად, განთავსებულ უნდა იქნეს ამ დადგენილების დანართი №4-ით გათვალისწინებული შესაბამისი პიქტოგრამები.

6. თამბაქოს მწარმოებლებმა ან/და იმპორტიორებმა უნდა უზრუნველყონ ამ მუხლით დადგენილი ძირითადი და დამატებითი სამედიცინო გაფრთხილებების და შესაბამისი პიქტოგრამების გამოყენება და როტაცია „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 5. საქართველოში რეალიზაციისათვის განკუთვნილი არმოსაწევი თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე განსათავსებელი ტექსტობრივი წარწერა

1. არმოსაწევი თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე (გარდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკისა) განთავსებული უნდა იყოს შემდეგი ტექსტობრივი წარწერა:

„თამბაქოს მოხმარება იწვევს დამოკიდებულებას და აზიანებს თქვენს ჯანმრთელობას

თამბაქოზე თავის დანებებისათვის დარეკეთ: 116001, ზარი უფასოა“

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კი არმოსაწევი თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე ტექსტობრივი წარწერა განთავსებული უნდა იყოს აფხაზურადაც:

„Аҭаҭын ахара шәашьцылар ҟалоит, уи шәгәабзиара иаҧырхагоуп. Аҭаҭын ахара иаҟәыҵыр зҭаху ауаа аҭел иасыр рылшоит абри аномерла 116001 Аҵәҵәа ахәҧса акәым“

მუხლი 6. საქართველოში რეალიზაციისათვის განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტების შეფუთვაში მოსათავსებელი საინფორმაციო ფურცლის ფორმატი

1. ელექტრონული სიგარეტების შეფუთვაში მოსათავსებელი საინფორმაციო ფურცლის ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ზოგად მოთხოვნებს:

ა) საინფორმაციო ფურცელზე ტექსტი განთავსებულ უნდა იქნას ორმხრივად;
ბ) საქართველოში (გარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა) რეალიზაციისათვის განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტის შეფუთვაში მოსათავსებელი საინფორმაციო ფურცლის ტექსტი შესრულებულ უნდა იქნას ქართულ ენაზე (გარდა ელექტრონული ფოსტის მისამართისა), თეთრ ფონზე შავი ასოებით. ტექსტის შრიფტად გამოყენებულ იქნეს სტანდარტული ქართული ფონტი სილფაენი (Sylfaen), ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზურ ენაზე - ფონტით Amra;
გ) ტექსტი შესრულებულ უნდა იქნას მინიმუმ 10 ზომის შრიფტით, გარდა საინფორმაციო ფურცლის ნაწილისა „გაფრთხილება“. ამ ნაწილში განთავსებული ინფორმაცია ტექსტის სხვა ნაწილებზე მინიმუმ 2 ერთეულით დიდი ზომის შრიფტით უნდა იქნას შესრულებული;
დ) საინფორმაციო ფურცლის ტექტი, გამოსახულებები ან სხვა ელემენტი არ უნდა შეიცავდეს რაიმე ყალბ, შეცდომაში შემყვან ან არასწორი წარმოდგენის შემქმნელ ინფორმაციას თამბაქოს ნაწარმის თვისებების, მავნე ზემოქმედების ან გამოფრქვეული მავნე ნივთიერებების თაობაზე. ასევე, არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საქართველოს სახელმწიფო ან/და რომელიმე უცხოურ ენაზე რაიმე ისეთი სიტყვა, აბრევიატურა, ნიშანი, გრაფიკი, ციფრი ან გამოსახულება, რომელიც პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით შექმნის არასწორ წარმოდგენას თამბაქოს ამ ნაწარმის სხვა მსგავს ნაწარმთან შედარებით ნაკლებად მავნებელობის თაობაზე. მათ შორის, არ შეიძლება მათი გამოყენება ბრენდის ან სავაჭრო ნიშნის დასახელებაში, კერძოდ, სიტყვებისა: „მსუბუქი“, „რბილი“, „ნაკლებად მძაფრი“, „ულტრამსუბუქი“, „დაბალი შემცველობით“, „ექსტრა“, „ულტრა“, „მენთოლი“ და სხვა. აგრეთვე, საინფორმაციო ფურცელში არ უნდა იყოს მითითებული, რომ ეს ნაწარმი ხელს უწყობს ცხოვრების ჯანსაღ წესს ან ინფორმაცია, რომელიც აღწერს ნაწარმის გემოს, საკვებთან ან კოსმეტიკურ ნაწარმთან მის მიმსგავსებას და გარემოზე ზემოქმედების ან გარემოს დაცვის კუთხით ნაწარმის უვნებლობისა და უსაფრთხოების საკითხებს.

2. ელექტრონული სიგარეტების შეფუთვაში მოსათავსებელი საინფორმაციო ფურცელი სტანდარტულად უნდა შედგებოდეს 4 ნაწილისგან:

ა) ელექტრონული სიგარეტის შემადგენლობა;

ბ) გაფრთხილება;

გ) ელექტრონული სიგარეტის გამოყენებისა და შენახვის ინსტრუქცია;

დ) საკონტაქტო ინფორმაცია.

3. საინფორმაციო ფურცლის თითოეული ნაწილი უნდა შეიცავდეს შემდეგი შინაარსის ინფორმაციას:

ა) ელექტრონული სიგარეტის შემადგენლობა - საინფორმაციო ფურცლის ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ელექტრონული სიგარეტის კარტრიჯში, კაფსულაში ან

ნებისმიერ სხვა სახის კონტეინერში მოთავსებული მასალების და მათი მოხმარების შედეგად გამოყოფილ აეროზოლში შემავალი ნივთიერებების შესახებ, კერძოდ:

ა.ა) ნიკოტინის შემცველობა ნაწარმში და ერთი შესუნთქვით (ნაფაზით) მიღებული დოზა;

ა.ბ) ნაწარმში შემავალი ინგრედიენტების დასახელება და ოდენობა.

ბ) გაფრთხილება - ეს ნაწილი უნდა შეიცავდეს შემდეგი პუნქტებით დადგენილ ინფორმაციას:

ბ.ა) გაფრთხილების ნაწილში ცალკ-ცალკე ხაზზე, წარმოდგენილი თანმიმდევრობით, უნდა იყოს მოთავსებული შემდეგი გაფრთხილებები:

ბ.ა.ა) „ამ ნაწარმის მოხმარება მავნეა თქვენი ჯანმრთელობისთვის“;

ბ.ა.ბ) „აღნიშნული ნაწარმი შეიცავს ნიკოტინს, რომელიც არის ძლიერი დამოკიდებულების გამომწვევი ნივთიერება“;

ბ.ა.გ) „ამ ნაწარმის გამოყენება არა არის რეკომენდებული ახალგაზრდებისა და არამწეველთათვის“;

ბ.ა.დ) „ეს ნაწარმი არ არის თამბაქოზე თავის დანებების აღიარებული საშუალება“;

ბ.ა.ე) „აკრძალულია ამ ნაწარმის გაყიდვა არასრულწლოვნებზე“.

ბ.ბ) გარდა „ბ.ა“ პუნქტით განსაზღვრული გაფრთხილებებისა, ამ ნაწილში ასევე უნდა განთავსდეს:

ბ.ბ.ა) გაფრთხილებები შესაძლო სპეციფიკური რისკ ჯგუფებისათვის, რომელთა შესახებ აქვს ინფორმაცია ნაწარმის მწარმოებელს/იმპორტიორს;

ბ.ბ.ბ) გაფრთხილებები ნაწარმის ტოქსიკურობის ან მისი მოხმარებით გამოწვეული შესაძლო გართულებების შესახებ, რომელთა შესახებ აქვს ინფორმაცია ნაწარმის მწარმოებელს/იმპორტიორს.

გ) ელექტრონული სიგარეტის გამოყენებისა და შენახვის ინსტრუქცია - ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს:

გ.ა) ინფორმაციას იმ პირობების (ტემპერატურა, ტენიანობა, შენახვის ადგილი და სხვა) შესახებ, რომელშიც შეიძლება ნაწარმის შენახვა და გამოყენება;

გ.ბ) მითითებას შესაძლო ტექნიკური პრობლემებისა და იმის თაობაზე, რომ ნაწარმი უნდა ინახებოდეს მესამე პირებისთვის, განსაკუთრებით ბავშვებისთვის ხელმიუწვდომელ, უსაფრთხო ადგილას.

დ) საკონტაქტო ინფორმაცია - ამ ნაწილში უნდა განთავსდეს ინფორმაცია ნაწარმის მწარმოებლის ან იმპორტიორის შესახებ, რომელსაც შეიძლება მომხმარებელი/დაინტერესებული პირი დაუკავშირდეს საქართველოში. კერძოდ, კომპანიის/იმპორტიორის სახელწოდება, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელ-ფოსტა.

მუხლი 7. ტექნიკური პარამეტრები თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე განთავსებული სამედიცინო გაფრთხილებებისა და შემცველობის შესახებ წარწერებისათვის

თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე განთავსებული სამედიცინო გაფრთხილებები და შემცველობის შესახებ წარწერები უნდა აკმაყოფილებდეს „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტების მოთხოვნებს და აგრეთვე შემდეგ ტექნიკურ პარამეტრებს:

ა) შესრულებულ უნდა იქნეს ქართულ ენაზე, სტანდარტული ფონტით სილფაენი (Sylfaen), ხოლო აფხაზურ ენაზე - ფონტით Amra და იყოს გამუქებული;

ბ) ფონტი უნდა იყოს მაქსიმალური ზომის, რათა წარწერამ სრულად დაიკავოს მისთვის გამოყოფილი ფართი, ამასთან არ ეხებოდეს შემომფარგვლელი ხაზების ან პიქტოგრამის კიდეებს;

გ) ქართული და აფხაზური წარწერების ერთდროულად გამოყენების შემთხვევაში, ტექსტების ფონტი უნდა იყოს ერთნაირი ზომის;

დ) ინტერვალები და ხაზებს შორის დაშორება უნდა იყოს სტანდარტული;

ე) განლაგება უნდა იყოს ცენტრალური სწორებით;

ვ) ქართული და აფხაზური წარწერების ერთდროულად გამოყენების შემთხვევაში, ქართული ტექსტის მომდევნო ხაზზე განთავსებულ უნდა იქნეს მისი შესაბამისი აფხაზური ტექსტი;

ზ) წარწერები უნდა შესრულდეს თეთრ ფონზე შავი ასოებით ან შავ ფონზე თეთრი ასოებით; თეთრი ფონი შემოფარგლული უნდა იყოს შავი ჩარჩოთი, ხოლო შავი ფონი – თეთრი ჩარჩოთი, რომელიც არ კვეთს და არ ეხება ასოებს; ჩარჩოს ხაზის სისქე უნდა იყოს 1 მმ;

თ) პიქტოგრამის ნიმუში უნდა შეესაბამებოდეს დამატებითი სამედიცინო გაფრთხილების ტექსტს და უნდა იკავებდეს ერთენოვანი გაფრთხილების შემთხვევაში გაფრთხილების საერთო ზომის (გარდა შემომფრაგვლელი ხაზებისა) არანაკლებ 70%-ს, ხოლო ორენოვანი გაფრთხილების შემთხვევაში არანაკლებ 60%-ს;

ი) პიქტოგრამეთან ერთად გაფრთხილების ტექსტი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი შესაბამისი წარწერით უნდა განლაგდეს პიქტოგრამის იმ მონაკვეთზე შესაბამისი ზომით, დიზაინით და ტექნიკური პარამეტრებით, როგორც ეს მითითებულია ელექტრონულ ნიმუშში;

კ) დამატებითი სამედიცინო გაფრთხილება უნდა განთავსდეს – კოლოფის წინა გვერდზე, ხოლო ძირითადი სამედიცინო გაფრთხილება – უკანა გვერდზე. საკონტაქტო ტელეფონის ნომერი შესაბამისი წარწერით უნდა განთავსდეს დამატებითი გაფრთხილების წარწერის ქვემოთ, 2 ხაზთაშორისი სივრცის ინტერვალის დაშორებით. საკუთრივ ტელეფონის ნომერი - იმავე სახის და ზომის ფონტით, ხოლო თანდართული ტექსტი - 2 სტანდარტული ერთეულით ნაკლები ზომის. ხაზების დაშორება და ინტერვალები უნდა იყოს სტანდარტული. წარწერები და ნომერი უნდა იყოს გამუქებული, მარჯვენა სწორებით, არ ეხებოდეს გაფრთხილების კიდეებს;

კ) საკონტაქტო ტელეფონის ნომერი შესაბამისი წარწერით უნდა განლაგდეს 2 ხაზზე, რომელთაგან პირველზე განთავსებულ იქნება ტექსტი „მოწევის შეწყვეტისთვის დარეკეთ:“, ხოლო მეორეზე - „116001“, ზარი უფასოა“.

მუხლი 8. ტექნიკური პარამეტრების თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე პიქტოგრამებისათვის

თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე განთავსებული პიქტოგრამები უნდა აკმაყოფილებდეს „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტების მოთხოვნებს და აგრეთვე, შემდეგ ტექნიკურ პარამეტრებს:

ა) პიქტოგრამები დაბეჭდილ უნდა იქნეს ელექტრონული ნიმუშის ორიგინალის შესაბამისად ყოველგვარი ცვლილების გარეშე, პროპორციებში, ფერებში ან/და კომპოზიციაში. ამასთან, თამბაქოს კოლოფის ფორმის/ზომის გათვალისწინებით პიქტოგრამების პროპორციების, თვალსაჩინოებისა და გაფრთხილების იდეური დატვირთვის შენარჩუნების მიზნით შერჩეულ უნდა იქნას დანართი 4-ით წარმოდგენილი თითოეული პიქტოგრამის 3 ნიმუშიდან ერთერთი შესაბამისი ვარიანტი (კვადრატული, ჰორიზონტალური მართკუთხედის ან ვერტიკალური მართკუთხედის ფორმის). თამბაქოს მწარმოებლებსა და/ან იმპორტიორებს ელექტრონული

ვერსიების ორიგინალს მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ბ) პიქტოგრამის ზედა კიდე განთავსებულ უნდა იქნეს კოლოფის ან ბლოკის ზედა კიდის პარალელურად;

გ) პიქტოგრამის გვერდითი და ზედა კიდე უნდა ეხებოდეს შემომფარგვლელ ხაზებს;

დ) პიქტოგრამები უნდა დაიბეჭდოს 4 ფერში/-CMYK-/, მინიმუმ 150 (lpi) ხაზით 2,54 სანტიმეტრზე (ერთ ინჩზე);

ე) უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ფერთა თანხვედრა ცდომის გარეშე.

მუხლი 9. საქართველოში თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ადგილებში სამედიცინო გაფრთხილების ტექსტი და მისი განთავსების ტექნიკური პარამეტრები

1. თამბაქოს რეალიზაციის ადგილებში განთავსებულ უნდა იქნეს სამედიცინო გაფრთხილებები შემდეგი ტექსტით: „მოწევა კლავს“, „არასრულწოვანთათვის თამბაქოს ნაწარმის მიყიდვა აკრძალულია“, „მოწევის შეწყვეტისთვის დარეკეთ: 116001, ზარი უფასოა. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

2. სამედიცინო გაფრთხილების ტექსტი განთავსებულ უნდა იქნეს თამბაქოს რეალიზაციის ადგილებში თვალსაჩინოდ, არანაკლებ A4 ფორმატზე და აკმაყოფილებდეს შემდეგ ტექნიკურ პარამეტრებს:

ა) ტექსტი განთავსებულ უნდა იქნას ერთმანეთისგან განცალკევებით ერთმანეთის მომდევნო ხაზებზე, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული თანმიმდევრობით;

ბ) წარწერა შესრულებულ უნდა იქნეს თეთრ ფონზე შავი ასოებით, ან შავ ფონზე თეთრი ასოებით, სტანდარტული ქართული ფონტით სილფაენი (Sylfaen) და იყოს გამუქებული;

გ) ფონტი უნდა იყოს მაქსიმალური ზომის, რათა წარწერამ სრულად დაიკავოს მისთვის გამოყოფილი ფართი, ამასთან არ ეხებოდეს ფართის კიდეებს;

დ) ინტერვალები და ხაზებს შორის დაშორება უნდა იყოს სტანდარტული;

ე) განლაგება უნდა იყოს ცენტრალური სწორებით.

დანართი №2

საქართველოში რეალიზაციისათვის განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის კოლოფებსა და ბლოკებზე განსათავსებელი ძირითადი და დამატებითი სამედიცინო გაფრთხილებები ქართულ ენაზე

1. ძირითადი სამედიცინო გაფრთხილებები:
   ა) მოწევა კლავს;
   ბ) მწეველები კვდებიან ადრე;
   გ) მოწევა სერიოზულ ზიანს გაყენებთ თქვენ და თქვენს ირგვლივ მყოფთ.

2. დამატებითი სამედიცინო გაფრთხილებები:
   ა) თამბაქოს მოხმარება იწვევს ხორხის კიბოს;

   ბ) მოწევით თქვენ იორმაგებთ ინსულტის განვითარების რისკს;

   გ) მოწევა ზიანს აყენებს მუცლად მყოფ ბავშვს;

დ) თამბაქოს მოხმარება იწვევს შარდის ბუშტის კიბოს;

ე) თამბაქოს მოხმარებამ შესაძლოა იმპოტენტად გაქციოთ;

ვ) თამბაქოს მოწევა აზიანებს თქვენს ღრძილებსა და კბილებს;

ზ) ნუ აიძულებთ ბავშვებს ისუნთქონ თამბაქოს კვამლი;

თ) მოწევა იწვევს სიბრმავეს;

ი) მოწევა იწვევს პერიფერიული სისხლძარღვების დაავადებებს.

3. საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და თანდართული წარწერა:
   მოწევის შეწყვეტისთვის დარეკეთ:
   116001, ზარი უფასოა.

დანართი №3

საქართველოში რეალიზაციისათვის განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის კოლოფებსა და ბლოკებზე განსათავსებელი ძირითადი და დამატებითი სამედიცინო გაფრთხილებები ქართულ და აფხაზურ ენებზე

1. ძირითადი სამედიცინო გაფრთხილებები:

ა) მოწევა კლავს - Аҭаҭын ахара шәҭанархоит

ბ) მწეველები კვდებიან ადრე - Аҭаҭын иахо рыԥсынҵра мачхоит

გ) მოწევა სერიოზულ ზიანს გაყენებთ თქვენ და თქვენს ირგვლივ მყოფთ - Аҭаҭын ахара шәаргьы ишәзеицәоуп шәыкәша-мыкәша иҟоу ауаагьы ирԥырхагоуп

2. დამატებითი სამედიცინო გაფრთხილებები:

ა) თამბაქოს მოხმარება იწვევს ხორხის კიბოს - Аҭаҭын ахара амшала аҟырҟы акьыба шәыхьыр ҟалоит

ბ) მოწევით თქვენ იორმაგებთ ინსულტის განვითარების რისკს - Аҭаҭын ахара амшала, ҩынтә еиҳаны адабла ашәарҭа шәызцәыртцуеит

გ) მოწევა ზიანს აყენებს მუცლად მყოფ ბავშვს - Зцәаазтәымкәа иҟоу аԥхәыс аҭаҭын дахозар, илыԥроу алашәа ԥырхага аиуоит

დ) თამბაქოს მოხმარება იწვევს შარდის ბუშტის კიბოს - Аҭаҭын ахара амшала ампышта акьыба шәыхьыр ҟалоит

ე) თამბაქოს მოხმარებამ შესაძლოა იმპოტენტად გაქციოთ - Аҭаҭын ахара аимпотенциа ахылҽиаар алшоит

ვ) თამბაქოს მოწევა აზიანებს თქვენს ღრძილებსა და კბილებს - Аҭаҭын ахара ахаҧыцжьи шәахаҧыцқәеи ирҧырхагоуп

ზ) ნუ აიძულებთ ბავშვებს ისუნთქონ თამბაქოს კვამლი - Ахәычқәа аҭаҭын алҩа албаадара рыдшәымцалан

თ) მოწევა იწვევს სიბრმავეს - Аҭаҭын ахара алашәра ахылҵуеит

ი) მოწევა იწვევს პერიფერიული სისხლძარღვების დაავადებებს - Аҭаҭын ахара амшала ашьадатә чымазарақәа шәызцәыртҵыр ҟалоит

3. საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და თანდართული წარწერა:

მოწევის შეწყვეტისთვის დარეკეთ: 116001, ზარი უფასოა

Аҭаҭын ахара иаҟәыҵыр зҭаху ауаа аҭел иасыр рылшоит абри аномерла 116001 Аҵәҵәа ахәҧса акәым.

დანართი №4

დამატებითი სამედიცინო გაფრთხილებების შესაბამისი პიქტოგრამების ნიმუშები

მონევა ზიანს აყენებს მუცლად მყოფ ბავშვს





მონევა იწვევს სიბრმავეს







თამბაქოს მოხმარება ინვევს
შარდის ბუშტის კიბოს





მონევა ინვევს პერიფერიული
სისხლძარღვების დაავადებებს





თამბაქოს მოხმარებამ შესაძლოა
იმპოტენტად გაქციოთ







მონევით თქვენ იორმაგებთ
ინსულტის განვითარების რისკს







თამბაქოს მონევა აზიანებს თქვენს
ღრძილებსა და კბილებს







თამბაქოს მოხმარება იწვევს
ხორხის კიბოს







ნუ აიძულებთ ბავშვებს ისუნთქონ
თამბაქოს კვამლი

დამატებითი სამედიცინო გაფრთხილების თამბაქოს კოლოფზე დატანის ნიმუში

დანართი №5



ტექსტის სწორება ცენტრალური

ფონტი Sylfaen

ტექსტები გამუქებული (BOLD)

ტექსტი არ ეხება გაფრთხილების შემომფარგვლელ ხაზებს

დაშორება 2 ხაზთაშორისი ინტერვალი (ანუ 1 ENTER ვორდში, ან 2 კორელში)

შამედიცინო გაფრთხილების მთლიანი ზომა გვერდის არანაკლებ 65 %

პიქტოგრამის ზომა გაფრთხილების არანაკლებ 70 %, ორენოვანი გაფრთხილების შემთხვევაში არანაკლებ 60 %

ფონტის ზომა ერთნაირი (პირობითად N)

ფონტის ზომა 2 სტანდარტული ერთეულით ნაკლები (პირობითად N-2)

ჩარჩოს ხაზის სისქე 1 მმ

სწორება მარჯვნივ

პირველი ხაზი

მეორე ხაზი